




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კუპრეიშვილი გიორგი თეიმურაზის ძე



გ. თ. კუპრეიშვილი

კუპრეიშვილი გიორგი თეიმურაზის ძე (9. X. 1906, სოფ. კოტიანეთი, ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი, - 17. IX. 1981, თბილისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1969). II მსოფლიო ომის მონაწილე. 1927 ჩააბარა თსუ-ში; 1929 უნ-ტის აგრონ. ფაკ-ტის ბაზაზე დაარსდა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი, რ-იც 1931 დაამთავრა. იმავე წელს, პარალელურად, სწავლების კურსი დაასრულა თბილ. საკავშ. სუბტროპ. ინ-ტში. 1932- 33 კ. მუშაობდა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში (შეთავსებით - ამიერკავკ. უმაღლ. პარტ. სკოლის ლექტორად). 1933-37 ზუგდიდისა და გალის რ-ნებში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა. 1937-39 იყო ჩაისა და სუბტროპ. კულტურების ინ-ტის სოხუმის ფილიალის დირექტორი, 1939-41 - სას.-სამ. ინ-ტის გამომცემლობის გამგე. 1946-81 მუშაობდა სას.-სამ. ინ-ტის ეკონომიკის კათედრაზე;

კ. იყო აგრ.-ეკონ. პრობლემების მკვლევარი და ეწეოდა სამეცნ.- პედ. მოღვაწეობას. არის სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. 3 სახელმძღვანელოს ავტორი.

მიღებული აქვს სახელმწ. და საბრძოლო ჭილდოები.

თხ. სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებანი სოფლად, თბ., 1950; საბჭოთა მეურნეობის როლი სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, თბ., 1959.